

კაპიტალური ტიპის საზოგადოების წარმომადგენლობა და მის ფარგლებს
გარეთ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები

მარიანა სისვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ ცერცვაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიანა სისვაძე ----- 05 თებერვალი 2019 წელი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის საკვლევია საკითხია კაპიტალური ტიპის საზოგადოებების წარმომადგენლობა და მის ფარგლებს გარეთ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები. ამ მიზნით, ნაშრომში განხილულია ევრო კავშირის დირექტივა, კავშირში შემავალი წევრი სახელწიფოებისა და ამერიკის კანონმდებლობა, ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოქმედ რედაქციასა და კანონის პროექტში არსებულ შესაბამის ნორმებს, ისევე, როგორც ქართულ სასამართლო პრაქტიკას.

კვლევის ჩატარების მიზნით მოძიებულ იქნა ამერიკისა და ევროპის ქვეყნების საკანონმდებლო ნორმები კომპანიის წარმომადგენლობის შესახებ. ასევე, მოძიებული იქნა, როგორც უცხოური სასამართლო დოქტრინა, ისე საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების უახლოესი პრაქტიკაც.

საკითხი აქტუალურია, რადგან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა მშკ-ის ახალი პროექტი, რომელიც მთლიანად ანაცვლებს კანონის მოქმედ რედაქციას და შეიცავს საკვლევია საკითხის სრულიად ახლებურ მოწესრიგებას. საკითხის აქტუალურობას ხაზს უსვამს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ გაკეთებული ურთიერთგამომრიცხავი განმარტებებიც.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია ქართული საკორპორაციო სამართლის ევრო დირექტივებთან შესაბამისობის კუთხით, რისი ვალდებულებაც საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებით იკისრა, ასევე, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალური ტიპის საზოგადოება; წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; დირექტორი; დირექტორთა საბჭო; უფლებამოსილების ფარგლები.

Abstract

The study subject of this paper is the representation of the companies and the legal consequences of transactions outside the representation authority. For this purpose, EU directive, the member states and the US legislation, as well as judicial practice have been reviewed in this paper. The majority of the work is dedicated to the relevant norms of existing edition of the Law on Entrepreneurs of Georgia and its draft, as well as the Georgian courts recent practices.

The legislative norms of the US and other European countries have been searched for the purpose of the survey. Also, relevant court doctrine of foreign countries, as well as the the closest practice of Georgian Supreme and Constitutional courts have been discussed.

The study issue is relevant, because a special working group under the Ministry of Justice of Georgia has worked out a new draft law on Entrepreneurs, which completely alters the edition of the existing Law on Entrepreneurs and contains a completely new regulation of the issue. The importance of the issue is also emphasized by the contradictory explanations made by the general and constitutional courts around the topic.

This research is important in terms of compliance of Georgian Corporative Law with the EU Directive, which obligation was taken by Georgia the under the Association Agreement, as well as for the establishment of a common practice of courts.

Keywords: Company; Representative authority; Director; Board of Directors; The Scope of authority.